გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 64
(11 623)

20 – 22 აგვისტო, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი თბილისში

3

## ,,.... მწუხარება სხვისა, კეთილსა ზედა“

ფიქრები სფფ-ს ყრილობის წინ

**ჩვენს გალატაკებულ ქვეყანაში ყველასთვის ხელმისაწვდომი, თანაც უფასო, ლაფი და ტალახია. აილე რამდენიც გინდა და შეასხი, ვისაც გინდა. სეირის მაყურებელსაც რა გამოლევს!**

როცა საზოგადოებაში რაღაც ტენდენცია იმძლავრებს, შეგუების უტყუარი ნიშანია. კარგა ხანია ბევრ რამეს ვეგუებით, ისეთსაც, ადრე სირცხვილით რომ დავიწვებოდით.

პოლიტიკოსებმა ხომ მთლად გადარიეს ხალხი. ისინი არიან „სინდისისგან ადამიანების განთავისუფლების“ მასწავლებლები. უზნეობის ორომტრიალში მეტნაკლებად ჩათრეული აღმოჩნდა მისი უდიდებულესობა ფეხბურთიც კი. ამაში ყველა დაგვარწმუნა სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე წლევანდელმა წინასაარჩევნო კამპანიამ.

ეტყობა მართლა ძალიან საპატიოა და კიდევ რიღაცით ძალიან მაცდუნებელია სფფ-ს პრეზიდენტის პოსტი, თორემ ამხელა ფარული და ნაკლებად ხილული ომი ამ სავარძლისთვის ნამდვილად არ ატყდებოდა. არადა, ეს ის შემთხვევაა, როცა ომის საშინელება ყველას ერთნაირად გვეხება. რაც უნდა იყოს, ყველანი ერთად ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები ვართ.

თუ რით დაიწყო ეს ომი, ყველამ კარგად იცის. ამჯერად უკვე მისი მსვლელობა და ბრძოლის ტაქტიკა იქცევს ყურადღებას.

შევეცდებით ზოგიერთი რამ ქვემოთ ერთად დავინახოთ და შევაფასოთ.

ნებისმიერი ოპონენტი თავის ბრალდებებს, მეტოქის შეცდომებზე და იმ სისუსტეებზე აგებს, რამაც საბოლოო ჯამში საქმეს ავნო და მეტის ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ სფფ-ს ახლანდელი ხელმძღვანელების ოპონენტებს, ბევრი ვერაფერი გამოუჩხრეკიათ ხელჩასაჭიდი.

### უშეცდომო ვინ არის, მაგრამ კარგსაც ნუ დაივიწყებთ...

ჰქონდა თუ არა შეცდომები სფფ-ს თავის მუშაობაში? არაო, ამ ორგანიზაციის თავკაცები თავადაც ვერ იტყვიან. მათ ხომ სხვებზე უკეთ უწყიან, რა შეძლეს და რა ვერა, რა ვერ მიიყვანეს ბოლომდე, ანდა სულაც, საერთოდ, რა გამორჩათ მხედველობიდან. უშეცდომოდ ვინ მუშაობს. მით უფრო, ისეთ ქვეყანაში სადაც სისტემის დახვეწა, ნებისმიერ სფეროში ჯერ ისევ ფორმირების პროცესშია. იქნებ ვინმემ შეგვახსენოს, რომელი დარგი თუ სფერო მუშაობს ჩვენში არათუ უნაკლოდ და გამართულად, არამედ თუნდაც ოდნავ დამაკმაყოფილებლად მაინც? მათი ოპონენტები განსჯისთვის მეტწილად, ან ვერ იცლიან, ან დილეტანტობაში თავის მხილებას ერიდებიან, ან, საერთოდ, ხელი აქვთ ჩაქნეული. ფეხბურთში კი, ნურას უკაცრავად, ყველა პროფესორია საქართველოში.

არა, სრულებითაც არ არის გასამტყუნარი, ჩვენი ხალხი თუ ფეხბურთში ეროვნული ნაკრების გამოსვლებისადმი პრეტენზიულია.

(იხ. მე-2 გვ.)

## დღეს ნინო სალუქვაძე მსოფლიო სუპერთასისთვის იბრძოლებს

**დღეს გერმანიის ქალაქ მიუნხენში იწყება მსოფლიო სუპერთასის გათამაშება ტყვიის სროლაში. მონაწილე რჩეულ თერთმეტ სპორტსმენს შორისაა ნინო სალუქვაძე. უნდა ითქვას, რომ სალუქვაძის გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიჭრა უმთავრესი პრობლემა — გამოინახა გასამგზავრებელი თანხები.**

**ნინო სალუქვაძესთან ერთად მსოფლიო სუპერთასისთვის იბრძოლებენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორებიც არიან მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი კასტელიჩი, ოლიმპიური ჩემპიონი კუზნეცოვა და სხვები. და მაინც, სალუქვაძის უმთავრესი მიზანი სუპერთასის მოპოვებაა, ის ხომ უკვე ექვსჯერ ფლობდა ამ ჯილდოს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნინოს განაღდებული აქვს 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზია.**

## სპორტულ ფედერაციებში

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გვაცნობა, რომ გეგმის შესაბამისად, ბორჯომში მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბოლო საწვრთნელ შეკრებას გადის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები უფროსი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით. მსოფლიო ჩემპიონატი 4-7 სექტემბერს ჩატარდება თეირანში. ზაზა თურმანიძე ნაკრების შემადგენლობას ბორჯომშივე 25-26 აგვისტოს გამართულ საკონტროლო შეჯიბრების შემდეგ დაასახელებს. ნაკრები კი თეირანში 2 სექტემბერს გაემგზავრება.

### ქართველებმა სპარსელებს ბევრი ოქრო წაართვეს



**ჩვენი მეზობელი ქვეყნის, ირანის მთავარი ქალაქი თეირანი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის სამასპინძლოდ ემზადება. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ უკვე მზადაა, რადგან ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე ირანელებმა უკვე გაისტუმრეს ერთი მსოფლიო ჩემპიონატი, თანაც თავისუფალ ჭიდაობაში, მაგრამ ვეტერანთა შორის.**

**ვეტერანთა ეს ასპარეზობა ტრადიციულია. ჩვენები შინ უმედლოდ არასდროს დაბრუნებულან, მაგრამ რაც ახლა დაიმსახურეს, თამამად უნდა ითქვას — რეკორდულია. 10 ქართველი ვეტერანიდან შინ ოთხი ოქროს მედლით, სამიც — „ბრინჯაოთი“ დაბრუნდა. გამარჯვებულები, ანუ ვეტერანთა შორის მსოფლიო ჩემპიონები არიან: სამტრედიელი ბადრი შენგელია (63 კგ), თბილისელები ემზარ კიკაბიძე (76), დავით თოდრია (97) და ზურაბ ნიკურაძე (მძიმე), მესამე პრიზიორები გახდნენ: მცხეთელი მევლუდ ჩხაიძე (58), თბილისელი ანზორ ლაზიშვილი (69) და ბათუმელი თემურ ხაბაძე (85). გუნდი მოამზადა ცნობილმა სპეციალისტმა მარლენ ოსიყმაშვილმა. ყველა ჩვენი მოჭიდავე საკუთარი ხარჯებით ან სპონსორების მიერ გაწეული დახმარებით გაემგზავრა თეირანში. აღსანიშნავია, რომ ირანის ფედერაცია თავის ჩემპიონს კვარცხლბეკზევე აძლევდა ჯილდოდ 10 ათას დოლარს. ქართველების ოქროს მედლები მით უფრო დასაფასებელია, რომ ასეთ მწვავე კონკურენციაში, თანაც ჭიდაობის ქვეყანაში-ირანშია მოპოვებული. ასე რომ, ყველაზე მეტი „ოქრო“ ირანიდან ქართველებმა წამოიღეს და მასპინძლები გულდაწყვეტილები დატოვეს — ჩემპიონის მედალთან ერთად ფულადი ჯილდოც დააკარგვინეს. ჩემპიონატში 14 ქვეყნის ვეტერანი ათლეტები მონაწილეობდნენ.**

ც. ბაქრაძე

### არქივს ყველაფერი ახსოვს

## თურქეთი – საქართველო

### შენოლ გიუნეში – ალექსანდრე ჩივაძე 0-1

**ოსმალთა და გურჯთა საფეხბურთო სანაკრებო პაექრობა თუ პირველად იმართება, ხვალინდელ მეტოქეთა მთავარი მწვრთნელები ორჯერ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს საფეხბურთო მინდორზე. ეს იყო ოცდაერთი წლის წინათ.**

1981 წლის 23 სექტემბერს, მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრკ-ისა და თურქეთის ნაკრებებს შორის. საბჭოთა ნაკრების კაპიტანი იყო ალექსანდრე ჩივაძე, თურქების კარს კი შენოლ გიუნეში იცავდა. მატჩის სტატისტიკა ყველაზე მეტყველია.

სსრკ — თურქეთი 4-0

**სსრკ:** დასაევი, ლოზინსკი, ჩივაძე (კაპიტანი), დემიანენკო, ბალტაჩა, დარასელია, შენგელია, ბესსონოვი, გავრილოვი, ბურიაკი (ოგანესიანი), ბლოხინი (ანდრეევი).

*გოლები:* **ჩივაძე (4)**, დემიანენკო (20), ბლოხინი (26), **შენგელია (49)**

საბჭოთა და თურქ ფეხბურთელთა პაექრობა მოსკოვის მატჩით არ დასრულებულა, საპასუხო შეხვედრა ერთი თვის შემდეგ, 7 ოქტომბერს ჩატარდა თურქეთში, ის მატჩიც საბჭოთა ნაკრებმა მოიგო 3-0 და სამივე გოლი გიუნეშმა გაუშვა, ორი ბლოხინისგან, ერთიც რამაზ შენგელიასგან, რის შემდეგაც შენოლი შეცვალეს.

ასე რომ, საარქივო ცნობებსაც შეუძლია სასიამოვნო ფაქტის გახსენება. ეს მატჩები და თარიღი თავად ჩივაძემ გაიხსენა, რაც უდავოდ დადებით ემოციას აღუძრავს ჩვენს ნაკრებს და მის თავკაცებს.

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### მერანი-91 – ვიტ ჯორჯია

3



ჟ. მალხაზიშვილის ფოტო

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### გულშემატკივრებს პლასტიკურ ბარათებს დაურიგებენ

***ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები აპირებენ, მომავალში გულშემატკივრებს დაურიგონ პლასტიკური ბარათები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, სტადიონზე არ დაუშვან ხულიგანი ფანატები.***

ასეთ ბარათებზე აღნიშნული იქნება მფლობელის ციფრული ფოტო და მისი თითების ანაბეჭდები. საშვები ზომით საკრედიტო ბარათს უტოლდება. ასეთი ბარათები უკვე გამოიყენეს აშშ-სა და იტალიაში. ოღონდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.

### რუსეთის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ცნობილია



**რუსეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ ერემინმა დაასახელა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც ინდიანაპოლისში, მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ: ზახარ პაშუტინი, ევგენი პაშუტინი (ორივე — ცსკა), იგორ კუდელინი („ენიკსი“), სერგეი ჩიკალკინი („ბენეტონი“), ვასილ კარასევი („ურალგრეიტი“), სერგეი პანოვი, ვიქტორ ხრიაპა (ორივე — ცსკა), ანდრეი კირილენკო („იუტა“), რუსლან ავლეევი („კინდერი“), ალექსანდრ ბაშმინოვი (ცსკა), ნიკიტა მორგუნოვი („ავტოდორი“), ალექსეი საკრასენკო („ოლიმპიაკოსი“).**

### მოსკოვი ევროლიგის ფინალურ მატჩებს უმასპინძლებს

როგორც ევროპის საკალათბურთო კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, 2004-2005 წლების სეზონის ევროლიგის „ოთხთა ფინალს“ მოსკოვი უმასპინძლებს.

ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა ცსკა-ს პრეზიდენტმა ალექსანდრე გომელსკიმ. არც ის არის გამორიცხული, რომ „ოთხთა ფინალი“ ერთი წლით ადრეც — 2004 წელს ჩატარდეს, თუ ისრაელი ვერ შეძლებს უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფას.

### გაზაევი შემადგენლობას ბოლო მომენტში დაადგენს

**ფეხბურთში ევროპის პირველობის შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქის რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა უარი განაცხადა გუნდის იმ შემადგენლობის დასახელებაზე, რითაც აპირებს შვედეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ასპარეზობას. გაზაევის თქმით, საბოლოო არჩევას მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გააკეთებს. ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ რუსეთის ნაკრების კაპიტანი ეგორ ტიტოვი იქნება.**



არსენალი — ბირმინგემი

3

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 6 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

## ხმლით ქალთა ფარიკაობა მაინც შეიტანეს ოლიმპიადის პროგრამაში

ლისაბონში ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონატის წინ გაიმართა სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო ფედერაციის (ფიე) საგანგებო კონგრესი, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა თუ როგორ იქნებოდა წარმოდგენილი ფარიკაობის პროგრამა 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ქალთა ხმლით ასპარეზობაში გაიმართება ინდივიდუალური შეჯიბრება, პროგრამიდან რაპირაში გუნდური ასპარეზობის ამოღების ხარჯზე. ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა კონგრესის 59 წევრი, წინააღმდეგ წავიდა — 23. ორი ბიულეტინი გაუქმდა.

ფიე-ს პრეზიდენტის რენე როკის განმარტებით, სიახლე ეხება მხოლოდ 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს, 2008 წლისთვის კი შესაძლებელია მოხდეს სხვა ცვლილებები. რუსეთის დელეგაცია თავიდანვე აპროტესტებდა ამ სიახლის იდეას და კონგრესზეც წინააღმდეგი წავიდა. რუსეთელები ითხოვდნენ ძველი სისტემის შენარჩუნებას, სადაც თავს ძლიერად გრძნობდნენ, ან დიდი-დიდი ქალთა ხმლით ასპარეზობის 2008 წლისათვის შეტანას ოლიმპიადის პროგრამაში; საქართველოსთვის სულ ერთი იყო და სიახლის დაუყოვნებლივ დანერგვას დაუჭირა მხარი.

## რეკორდი მოფარიკავეთა ჩემპიონატზე

**ლისაბონში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ერთგვარი რეკორდი დამყარდა — რუსეთელმა ხმლით მოფარიკავემ სტანისლავ პოზდნიაკოვმა მეხუთედ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი. ფინალში მან ფრანგი ჟიულენ პიუსი დაამარცხა — 15:12.**

## ჩვენმა ოლიმპიურმა ფონდმა ოლიმპიელებზე ყოველთვიური დახმარების გაცემა დაიწყო

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ წლეულს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით და ბიზნესმენთა მხარდაჭერით შეიქმნა ოლიმპიური ფონდი, რომელსაც ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი ჩაუდგა სათავეში. ორგანიზაციული საკითხები მოგვარდა და ახლა პრაქტიკული მოქმედების დრო დადგა.

ფონდმა უკვე დაიწყო დახმარების გაწევა იმ ოლიმპიურ ჩემპიონებზე და პრიზიორებზე, ვისაც უკვე შეუსრულდა 60 (მამაკაცები) და 55 (ქალები) წელი. ახლა ფონდი ერთბაშად ივლის-აგვისტოს თანხას იძლევა. სექტემბრიდან კი ყოველთვიური ანაზღაურება შეუფერხებლად გაიცემა. დანაპირებ თანხას მიიღებენ აგრეთვე მომავალი ოლიმპიური თამაშების კანდიდატები და მათი მწვრთნელები.

დავძენთ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ზემოხსენებული ფონდიდან თვეში 300 ლარს მიიღებს, მეორე პრიზიორი — 250-ს, მესამე პრიზიორი — 200 ლარს.

## ქართველ ოლიმპიელს მანქანა მოპარეს

**ბაკურიანელ კახაბერ ვახტანგიშვილს, რომელსაც სპორტის მოყვარულები იცნობენ როგორც ახლო წარსულში ცნობილ მოციგავეს და ლილეჰამერში ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილეს, ამ რამდენიმე დღის წინ „ბმვ“-ს მარკის საკუთარი ავტომანქანა მოპარეს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საგამოძიებო დეპარტამენტის ბორჯომის განყოფილებაში.**

**ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბორჯომში რუსთაველის ქუჩიდან მანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილებს მალე მიაკვლიეს. ესენი არიან გორში მცხოვრებლები 18 წლის შალვა გულიაშვილი, 26 წლის კახაბერ ხუბულური და 24 წლის ვეფხვია ტატიშვილი. გამტაცებლებს, როგორც ვარაუდობენ, ნაძარცვი მანქანის ცხინვალში გადაყვანა ჰქონდათ განზრახული.**

**გამოძიება ალბათ შეეცდება ისიც დაადგინოს, თუ ვინ დაუკვეთა ქურდებს უცხოური მარკის მანქანა და ეს ჯგუფი იყო თუ არა ორგანიზებული ბანდა.**

*„ლელოს“ საკ კორ. ბორჯომი.*

## გულშემატკივარი მორალური ზარალის ანაზღაურებას — მილიონ რუბლს ითხოვს

მოსკოვში შედგა სასამართლო პროცესი, რომელზეც განიხილეს რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და ამ ქვეყნის მოქალაქის, ვინმე დენის კონანჩუკის საქმე.

კონანჩუკმა რუსი ჩინოვნიკები სოლტ-ლეიკ-სიტში მომხდარი ცნობილი მოვლენების დროს უმოქმედობაში დაადანაშაულა. (როცა რუსი ოლიმპიელები სათხილამურო სპორტის შეჯიბრებიდან მოხსნეს).

კონანჩუკის განცხადებით, ამის შემხედვარეს სირცხვილის გრძნობა დაეუფლა და ძალიან ინერვიულა. ამის გამო მან „მორალური“ ზიანის ასანაზღაურებლად რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტისაგან 990 ათას რუბლს ითხოვს, ხოლო ფინანსთა სამინისტროსაგან 10 ათას რუბლს.

სასამართლოს დადგენილებით, კონანჩუკს არ უნდა აუნაზღაურდეს „ზარალი“ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ არის რუსეთის ოლიმპიური ნაკრების წევრი.

კონანჩუკი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

# „... მწუხარებაჲ სხვისა, კეთილსა ზედა“

*(პირველი გვერდიდან)*

ჩვენც გვინდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე წარმოვჩნდეთ ღირსეულად, მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, ერთი კონკრეტული სფერო, მსოფლიო სტანდარტების დონეზე, პროცესებს ვერ გაუსწრებს. სრულფასოვნად ჯერ ქართული ღვინო და კონიაკი, ჩაი და ბორჯომი სხვა ეროვნული პროდუქცია გავიტანოთ მსოფლიო ბაზარზე და მერე მეტი უფლება გვექნება პრეტენზიულები ვიყოთ ფეხბურთის მიმართ. ძლიერი ეკონომიკა თავად შექმნის ძლიერ ნაკრებს და გაიყვანს მსოფლიო „ბაზარზე“. სახელმწიფო უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში, მაღალი მიღწევა ქვეყნის მაღალი ეკონომიკის, საერთოდ, პოლიტიკის წარმოჩენა – წარმატებაა.

თუ ობიექტურობის გრძნობას არ დავკარგავთ, როგორ შეიძლება ბოლო ოთხი წლის მანძილზე სფფ-ს ხელმძღვანელობას საერთო მონაპოვრად არ ჩავუთვლოთ ის, რომ ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურა დაიხვეწა და გამართული სახე მიიღო, ხომ ფაქტია, რომ მოიმატა დაძაბულობამ და გაიზარდა ინტერესი ჩემპიონატისადმი. კეთილმსურველი, გუნდების სათამაშო დონის ამაღლებასაც შენიშნავს. განა მსაჯობაშიც არ იგრძნობა პროგრესი? ხომ ყველას გვახსოვს რა იყო ადრე, როგორი აურზაურით, ბრალდებებით, შანტაჟით მთავრდებოდა ჩემპიონატები. მსაჯობაში პროგრესმა ბევრ პრობლემას გამოაცალა საყრდენი. ანდა, ფედერაციის ახალი ოფისი ავიღოთ, რომელიც დღეს, 20 აგვისტოს, საზეიმოდ გაიხსნება. მავანი იტყვის: რა მნიშვნელობა აქვს ვინ იქნებოდა სფფ-ში ხელმძღვანელი, უეფა ამ შენობას ისედაც აგვიშენებდაო. არ არის ასე. შეიძლებოდა 50 წელიწადი გასულიყო და სფფ-ს ახალი ოფისი არ ღირსებოდა. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ უეფას ვალდებულება აქვს აღებული ყველგან ააგოს ასეთი ოფისები და ახლა ჩვენი ჯერიც დადგა. რაკი ვეღირსეთ, რაკი გაკეთდა, მადლობის მეტი რა გვეთქმის მერაბ ჟორდანიასა და მისი გუნდის მიმართ. შეიძლება ფეხბურთში არ გვაქვს საერთაშორისო სახელი და პატივი, მაგრამ ფიფა-უეფაში ნამდვილად დიდია სფფ-ს ავტორიტეტი. სხვაგვარად ვერც იმას მოვუძებნით ახსნას, თუ რატომ აღმოჩნდნენ სწორედ ამ ბოლო ოთხ წელიწადში ამ საფეხბურთო საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლები. მართლაც, ფეხბურთით არ ვბრწყინავთ საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ ფიფა-უეფა ხედავს ქართულ პოტენციალს, იმასაც კარგად აღიქვამს, რომ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, თუნდაც სავალდებულო საერთაშორისო პროგრამების პრაქტიკულად გატარებაში არათუ ჩამოვრჩებით ვინმეს, სამაგალითოდაც გვასახელებენ. ყველას სჯერა აუდიტის და რაღა ჩვენ ვართ ურწმუნოები, რაღა ჩვენ ვიჩენთ ნიჰილიზმს. ყოველ შემთხვევაში, წინ რომ მივდივართ, დაჯერება არ გვინდა. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ „მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა“ ისე გაბატონდა, ავსა და კარგს ველარ ვარჩევთ. რატომ ვართ მხოლოდ ავზე მომართული და კარგს თუნდაც შედარებისთვისაც კი არავინ უხმობს?

ვფიქრობთ, მკითხველი მიხვდა: ჭეშმარიტებისთვის, გნებავთ, იგივე სამართლიანობისთვის ხმა მართლაც ყველამ უნდა აიმაღლოს, მაგრამ არა მოუზომავად, არა ღვარძლით, არამედ სიკეთეზე გათვლის ორიენტირით. ხომ არ შეიძლება ნებისმიერმა მქადაგებელმა ამტკიცოს, გინდათ თუ არა, სწორედ ის აღიქვით და მიიღეთ ჭეშმარიტებად, რასაც მე ვლაღადებო.

## უმადურობა სენად არ უნდა იქცეს

არავინ იცის, როგორ შედეგამდე მივა ყრილობა. რაც უნდა მოხდეს, რაც კარგი გაუკეთებია სფფ-ს ახლანდელ ხელმძღვანელობას თუ არ დაუფასდა, მომავალს არ წაადგება სასიკეთოდ, უმადურობა სენად არ უნდა იქცეს და ადამიანებმა სული ნებით არ უნდა დაიბინძურონ. ჩვენში სიტყვის თავისუფლების სიმბოლოდ ერთმანეთისადმი ლაფის შესხმა დამკვიდრდა. სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატებიც არ ინდობენ ერთმანეთს. თუმცა ყველაზე მეტად თავდაჭერილი (ალბათ თავდაჯერებულიც და იმიტომ) მერაბ ჟორდანიაა. მერაბს ამ განვლილ არასრულ ოთხწლეულში არაერთი ომი გადაუტანია, ხოლო ბრძოლაში, ვისაც მეტი გამოცდილება აქვს, სტრატეგიც უკეთესია. ეს აქსიომაა.

სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატების პოზიციისგან განსხვავებით, გაუგებარია რა სურს საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელსაც ან საერთოდ არ გააჩნია არანაირი არგუმენტი, ან იშველიებს ძალიან უსუსურ ფაქტებს საქმიანობას როცა უწუნებს სფფ-ს. მეტწილად პიროვნებას ეხებიან.

შემიძლია ვეკამათო ნებისმიერ ოპონენტს, ვთქვათ, სფფ-ს გენერალურ მდივანზე. პირადად მე მას ვთვლი ნიჭიერ ორგანიზატორად. კამათში ბევრი „ხმას აყოლილი“ დამირწმუნებია ჩემი სიტყვების სიმართლეში. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო: ვალერი ჩოლარიას უდიდესი წვლილი უდევს სფფ-ს საქმიანობის სტრუქტურულ სრულყოფასა და საშემსრულებლო ფუნქციის ამაღლებაში. თითოეულმა იცის, რა უნდა აკეთოს, პასუხისმგებლობასაც გრძნობს და ისიც ესმის, რომ აუცილებლად მოჰკითხავენ შედეგს. როცა კონტროლი თანმიმდევრულია, სისტემა უთუოდ მუშაობს. ასეთია ვ. ჩოლარიას სტილი, რომელიც, შეიძლება, ზოგიერთს არ მოსწონდეს კიდეც. სფფ-ს ოფისის მშენებლობაში მისი ყოველდღიური ხელმძღვანელობა კი ბევრს გამოადგებოდა სამაგალითოდ.

მოკლედ, შურმა და ბოროტებამ ქვეყანა დაგვაქცია თავზე და ერთი უწყების დანგრევას რომ ლამობდნენ, რა გასაკვირია.

## ყრილობა მაინც ჩატარდება

სფფ-ს ყრილობის ჩატარება-არჩატარების თემა დიდხანს, მთელი ამ დაპირისპირებების მანძილზე „საჯილდაო ქვად“ იქცა და დღის წესრიგიდან დღემდე არ მოხსნილა. ალბათ, ასე დარჩება 24 აგვისტომდე, როცა ყრილობა მაინც შეუდგება მუშაობას.

რა აძლევს სფფ-ს აღმასკომს თავის გადაწყვეტილებებში ასე მყარად თავდაჯერების საფუძველს? – უპირველესად, ალბათ, შიდასამზარეულოს უფრო ღრმად ხედვა და საკითხებში უფრო შინაარსიანი წვდომა.

ნებისმიერ წესდებას უწყებისთვის კანონის ძალა აქვს. სფფ-ს ხელმძღვანელთა განმარტებით, სფფ-ს წესდებაში ყველაფერი წესრიგშია და ამდენად, კანონიერია. ოპონენტები დარღვევებს და შეუსაბამობას ხედავენ სფფ-ს საქმიანობაში ყრილობასთან მიმართებაში, რის დადგენის სურვილს ისინი სასამართლოს კარამდეც კი მიჰყავთ. სფფ-ს თავკაცებში ეს მცდელობები და სასამართლოს განაჩენები დიდ შეშფოთებას სულაც არ იწვევს იურიდიული თვალსაზრისით, მაგრამ იმის შიში კი ნამდვილად აქვთ, რომ სასამართლოებით გატაცებამ და განაჩენებით თავმოწონებამ, შეიძლება მხოლოდ საერთო საქმე დააზარალოს, ანუ ფიფა-უეფამ საქართველოს შეიძლება სანქციები დაადოს ზედმეტი სითამამისათვის. სხვა საკითხია და არავინ უარყოფს, რომ ქვეყნის კანონებს პატივი უნდა ვცეთ. ეს თავისთავად, მაგრამ ხომ გააჩნია, რა საკითხი შედის განსახილველად სასამართლოში. ალბათ სფფ-ს წესდებაშიც არის რაღაც ლაფსუსები, თორემ ფიფა არ გვირჩევდა, რომ ახლა ყველაფერი ისე უნდა დარჩეს, როგორც მოქმედი წესდებითაა განსაზღვრული, ყრილობაც დათქმულ დღეს უნდა ჩატარდეს და შემდეგ სფფ-ს ახალმა შემადგენლობამ 6 თვეში უნდა მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა ყველა ლაფსუსის გასასწორებლად და წესდების, როგორც ფიფა-უეფას, ისე ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მოკლედ, ყრილობა ჩატარდება 24 აგვისტოს, როგორც ეს დათქმული იყო და ძალაში რჩება სფფ-ს მოქმედი წესდება.

ოპონენტები კიდევ ერთ არგუმენტად სფფ-ს უნიათობას და ქართული ფეხბურთის საწინააღმდეგოდ მათ საქმიანობას მიიჩნევენ. ოპოზიციას ეს არ დაეძრახება. ასეა პოლიტიკაშიც. მაგრამ ვიმეორებთ პრინციპს, არ შეიძლება ყველაფერი ისე წარმოვაჩინოთ, თითქოს ფედერაციის ამ შემადგენლობას ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ, საერთოდ, არაფერი გაუკეთებია. ხელაღებით ამის მტკიცება, ვფიქრობთ, იგივე ოპონენტებს აგდებს უხერხულობაში და ეჭვქვეშ აყენებენ იმასაც, რაშიაც უდავოდ არიან მართლები.

რაკი შევყევით, იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებსაც ექნება თავისი ბაზა და თავისით არც ეს მოსულა, დახმარების რიგს არ მოუწევია, აქაც სფფ-ს მესვეურთა ავტორიტეტმა შეასრულა გადამწყვეტი როლი. მწვრთნელთა ლიცენზირების პროცესის დაწყებაც არ დაგავიწყდეთ, რომელიც ასევე მკაფიოდ ჯდება სფფ-ს მიერ გაწეული მუშაობის ერთიან სქემაში. მე იმ სიკეთეზე ვთქვი, რაც ვიცი, შეიძლება ბევრი რამ გამომრჩა კიდეც. ალბათ ასეცაა. ეს წერილი ხომ სფფ-დან მიღებული ინფორმაციით არ იწერება. სხვა, ალბათ, ყრილობაზე ითქმება.

ინფორმაციის მიღების ხსენებამ, ახლა დამაფიქრა კიდევ ერთ საკითხზე: იყო თუ არა სფფ-ს საქმიანობა ყრილობიდან ყრილობამდე გამჭვირვალე? პასუხი მოკლეა და, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება – იყო და, ცოტა ზომაზე მეტადაც! ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს რაიმე აინტერესებდა, მიიღებდა კიდეც. ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩება, თითქოს სწორედ გადამეტებულმა გამჭვირვალებამ და ადამიანებისადმი ზედმეტმა ნდობამაც აურდაურია კარტები.

არჩევნების წინ მერაბ ჟორდანიას საპრეზიდენტო პროგრამაც გახდა ცნობილი. ვისაც სურს, ამ პროგრამაში იმასაც დაინახავს, რომ ახალი მიზნისკენ წინსვლა მიღწეული სიმაღლიდან იწყება, ვისაც არ სურს... აბა, რა გითხრათ!

მთავარია, ყრილობის ხმოსანმა დელეგატებმა დაინახონ კარგად ყველაფერი და განჭვრეტით შეაფასონ ხვალინდელი დღე, ქართული ფეხბურთის ახლო მომავალი.

ცდუნება დასაბამიდან თან სდევს ადამის მოდგმას. და მაინც, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გამჟღავნდება. ცდუნების სამოსელში ეხვევა სფფ-ს მოახლოებული ყრილობაც.

თენგიზ გაჩეჩილაძე



# ახალსახლობა ქართულ ფეხბურთში

**წინასაყრილობო დავიდარაბისა და ფაციფუცის მიუხედავად, საზეიმო განწყობაა ფეხბურთის ფედერაციაში.**



მიზეზი ჩინებული და საამაყოა. ქართული ფეხბურთი ახალ სახლში გადაინაცვლებს. და ეს დღეს, 20 აგვისტოს მოხდება, 10 საათზე. სფფ-ს ახალი ოფისის გახსნას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, ვეტერანი ფეხბურთელები, სპორტის სხვა სახეობათა სასიქადულო ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენები, სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციათა ოფიციალური პირები. ერთობ წარმომადგენლობითია ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ორგანოს უეფას დელეგაცია — პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს მენეჯერი ერიხ ეპლე და უეფას ვიცე-პრეზიდენტი, ფიფას აღმასკომის წევრი სენეშ ერზიკი. პომპეზურ თავყრილობას ფართოდ გააშუქებს ტელევიზია და პრესა.

უეფას მაღალჩინოსნები გუშინ საღამოს, პარიზის რეისით ჩამოვიდნენ თბილისში და უმალვე ჩაებნენ ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. სანაპიროზე, რესტორან „ძველ სახლში" ოფიციალურ ვახშამზე ლენარტ იუჰანსონმა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცს ალექსანდრე ჩივაძეს უეფას ორდენი „ალისფერი ვარსკვლავი" გადასცა და ასე დააფასა მისი ღვაწლი ფეხბურთის განვითარებაში.

**დღეს** კი უეფას პრეზიდენტი საზეიმოდ გახსნის „ქართული ფეხბურთის ახალ სახლს", შეხვდება მთავრობის წარმომადგენლებს, საქართველოს პრეზიდენტს, მოინახულებს „ლოკომოტივის" სტადიონს და სანაკრებო ტექნიკურ ცენტრს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისი თანამედროვე აღჭურვილობით, უახლესი საოფისე ავეჯით გაწყობილი ოთხსართულიანი ორიგინალური არქიტექტურული ნაგებობაა. ამიერიდან ამ კოპწია სახლში გაირჩევა ქართული ფეხბურთის ავ-კარგი. თუმცა, მარტო ზემოთ აღწერილი ღონისძიებებით არ შემოიფარგლება ამ დღეების ვნებათაღელვა ჩვენს ფეხბურთში. პარასკევს, სფფ-ს ახალი ოფისის სააქტო დარბაზში შეიკრიბება სფფ-ს აღმასკომი, ზუსტად, V ყრილობის წინადღეს. აქვე გაგაცნობთ აღმასკომის სხდომის დღის წესრიგს. მანამდე კი გაიხსნება სანაკრებო სეზონიც. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები თურქეთს ესტუმრება.

**სფფ-ს**
**აღმასკომის სხდომის შესახებ**

23 აგვისტოს, 11.00 საათზე, სფფ-ს საკონფერენციო დარბაზში, ჩატარდება სფფ-ს აღმასკომის მე-19 სხდომა.



## დღის წესრიგი:

1. სფფ-ს მიერ 1998-2002 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების დამტკიცება.
*მომხსენებელი: მ. ჟორდანია*
2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სარევიზიო კომისიის ანგარიშის დამტკიცება.
*მომხსენებელი: ვ. ასათიანი*
3. სფფ-ს V საანგარიშო- საარჩევნო ყრილობის რეგლამენტის დამტკიცება.
*მომხსენებელი: მ. ჟორდანია*
4. სხვადასხვა.

---

თურქეთი – საქართველო

# ოსმალეთში რომ ვიყავით...

**დღეს და ხვალ ისევ საქომაგოდ აძგერდება ქართველ გულშემატკივართა გულები. ჩვენი ნაკრებები მნიშვნელოვან მატჩებს გამართავენ თურქეთში.**

ეროვნულ ნაკრებთა მატჩი ისტორიულია, ქართველთა და თურქთა სანაკრებო პაექრობა პირველად იმართება. გარდა იმისა, რომ ეს მეზობლების პირველი, ასე ვთქვათ, სადებიუტო დაპირისპირებაა, ინტერესს მატჩისადმი ისიც აძლიერებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრები გუნდები ახალ სეზონს იწყებენ. ევროპაში რამდენიმე ამხანაგური მატჩი იმართება და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ეს ნაკრებების ბოლო რეპეტიცია იქნება.

ამბიციამოძალებულმა თურქთა ლაზმა თავკაცმა შენოლ გიუნეშმა გურჯებთან გასაჯიბრებლად მშობლიურ ტრაბზონში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს ყველა პრიზიორ ფეხბურთელს მოუხმო. თურქთა მწვრთნელის მიერ გამოძახებულთა შორის სამი დებიუტანტია.


ვახტანგ კოპალეიშვილი

უეფას ორდენოსან ქართველთა მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს კი მატჩის წინ პრობლემები მოეძალა, რაც ნაკრების ზოგიერთ კანდიტათა უთამაშებლობაა, ხოლო ფრაიბურგელმა სამეულმა, სულაც ძნელი მატჩი ჩაატარა გუშინ „აინტრახტთან". ნაკრებში ამჟამად გამოძახებულია თორმეტი ფეხბურთელი: გელა შეყლაძე (ლიერსი, ბელგია), ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი (სამივე — ფრაიბურგი, გერმანია), გოგა გახოკიძე (პსვ, ჰოლანდია), გიორგი ნემსაძე (დანდი, შოტლანდია). შ. არველაძე (რეინჯერსი, შოტლანდია), გიორგი ქინქლაძე (დერბი, ინგლისი), ედიკ საჯაია (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი). გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი). გოჩა ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), მამია ჯიქია (ამიცა, პოლონეთი). ჩივაძე ნაკრებს ეროვნული ჩემპიონატის III ტურის მატჩების შემდეგ შეავსებს.

თავისი გრაფიკით ემზადებოდა ***ახალგაზრდული ნაკრებიც***. ვახტანგ კოპალეიშვილის განკარგულებაში ეს ფეხბურთელებია; *მეკარეები:* ზურაბ მამალაძე (დინამო თბ). მანუჩარ ივარდავა (ლოკომოტივი). *მცველები:* ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე (ლოკომოტივი), ილია კანდელაკი (დინამო თბ), ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო თბ). რამაზ სვანაძე (კოლხეთი 1913), დავით ზაზაშვილი (გორდა), ალექსანდრე ჩივაძე (დინამო თბ.). თენგიზ სულაქველიძე (დინამო2 თბ.). *ნახევარმცველები:* მალხაზ ასათიანი (ტორპედო), დავით სირაძე (ლოკომოტივი), ირაკლი შენგელია (მერანი), რომან ახალკაცი (ტორპედო), გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია); *თავდამსხმელები:* დავით ნაკანი (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), მიხეილ ბობოხიძე (დინამო თბ). ლადო ახალაია (დინამო თბ).

ახალგაზრდული ნაკრები თურქეთს გუშინ, დილით ავტობუსით გაემგზავრა. გუნდი რიზეში სასტუმრო „ოტელ რიზეში" დაბინავდა, ჩასვლისას ქალაქის სტადიონზე, ალბათ ივარჯიშა კიდეც, დღეს კი თბილისის დროით დაახლოებით 20 საათზე თანატოლებს შეერკინება.

ეროვნული ნაკრების სათურქეთო გრაფიკი სხვაგვარია. ჩივაძის შეგირდები ტრაბზონს დღეს გაფრინდებიან და იქაურ „უსტა ჰოტელში" დაბინავდებიან. მატჩი კი 21-ში თბილისის დროით, დაახლოებით 23.30 საათზე დაიწყება.


შენოლ გიუნეში

ამ შეხვედრამდე ორი დღით ადრე ორივე ნაკრების მწვრთნელმა, თითქმის, საბოლოო შემადგენლობები დაასახელეს.

***საქართველოს ნაკრები:*** *მეკარეები:* დავით გვარამაძე (დინამო თბ), გიორგი ლომაია (ლოკომოტივი): *მცველები:* გელა შეყლაძე (ლიერსი), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი). გიორგი ნემსაძე (დანდი), ედიკ საჯაია (ტორპედო, მოსკოვი). მამია ჯიქია (ამიცა, პოლონეთი), გივი დიდავა (ტორპედო, ქუთაისი), გიორგი შაშიაშვილი, ალეკო ამისულაშვილი (ორივე — დინამო თბ); *ნახევარმცველები:* ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი), გიორგი ქინქლაძე (დერბი), გოჩა ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი), გოგა გახოკიძე (პსვ), ლადო ბურდული (დინამო თბ); *თავდამსხმელები:* ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), შოთა არველაძე (რეინჯერსი), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი).

სამწუხაროდ, საზარდულს იტკიებს დემეტრაძე და შეიძლება თურქებთან ვერ ითამაშოს. ნაკრებთან იქნება კახი კალაძე, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო, მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს.

***თურქეთის ნაკრები:*** *მეკარეები:* რუშთუ რეჩბერი (ფენერბაჰჩე), ომერ ჩატკიჩი (გაზიანთეფსფორი), ზაფერ ოზგულთეკინი (ანკარაგიუჯიუ), მეთინ აქთაში (ტრაბზონსფორი);
*მცველები:* ბიულენთ ქორქმაზი, ემრე აშიქი, ჯიჰან ჰასპოლათლი (ყველა — გალათასარაი), აბდულა ერკანი, ფათიჰ აკიელი, უმით ოზატი (ყველა — ფენერბაჰჩე), ალფაი ოზალანი (ასტონ ვილა, ინგლისი);
*ნახევარმცველები:* ერგუნ პენბე, ჰასან შაში; დავალა უმითი (ყველა — გალათასარაი), ტაიფურ ჰავუტჩუ (ბეშიქთაში), ჰაქან უნსალი, თუგაი ქერიმოღლუ (ორივე — ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), ოკან ბურუქი, ემრე ბელოზოღლუ (ორივე — ინტერი, იტალია), ილდირაი ბაშთურქი (ლევერკუზენი, გერმანია), მაზი იზეტი (ლესტერ სიტი, ინგლისი);
*თავდამსხმელები:* არიფ ერდემი (გალათასარაი), სერჰათ აკინი (ფენერბაჰჩე), ილჰან მანსიზი (ბეშიქთაში), ჰაქან შუქური (პარმა, იტალია), ნაჰათ ქანვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი).


ალექსანდრე ჩივაძე

**FAIR PLAY**

***please!***

FIFA

## აგვისტო სამართლიანი თამაშის თვეა

მეექვსე წელიწადია ფიფა სამართლიანი თამაშის დღეს აღნიშნავს. მასში მსოფლიო ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყანა მონაწილეობს. რა თქმა უნდა, არც ქართული ფეხბურთი და ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია გამოაკლდება ასეთ ღონისძიებას. მიმდინარე წლის 24-25 აგვისტოს მსოფლიო ფეხბურთში სამართლიანი თამაშის დღე აღინიშნება და ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ნიშანდობლივად, ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩებს დაემთხვა. ყველა შეხვედრის წინ ოფიციალური ტექსტით გამოცხადდება ფეირფლეის დღისადმი მიძღვნილი დღის წესრიგი. ეს დღეები სამართლიანი თამაშის ერთგვარი პოპულარიზაციაა საფეხბურთო სამყაროში.

## ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების მატჩების ინსპექტორთა საყურადღებოდ!

**სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში გამოცდების ჩაბარებისათვის აუცილებელია შემდეგი საბუთები:**

1. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან ან პასპორტის ასლი
2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ
3. დიპლომის ასლი
4. წარდგინება რეგიონული ორგანიზაციიდან (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)
5. ცნობა სამუშაო ადგილიდან (კლუბების ან საფ. სკოლების კანდიდატურები არ განიხილება).
6. ჩატარებული მატჩების ინსპექტირების ოქმის ასლები
7. ფოტოსურათი 3X4 (ორი ცალი)

**ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება.**

***ძირითადი კრიტერიუმები და რეკომენდაციები ინსპექტორებისათვის***

1. კრიტერიუმები რეკომენდაციისათვის:
1.1. რეკომენდირებულთა სიაში ჩაირთვებიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე და რეგიონებში, რომელიც წარადგენს პიროვნების კანდიდატურას ინსპექტორად;
1.2. კანდიდატებს, რომლებიც პირველად მოხვდებიან ინსპექტორთა სიაში და არა აქვთ არამოყვარულთა საფეხბურთო კლუბების მატჩების ინსპექტირების გამოცდილება, მოეთხოვებათ:
— ფეხბურთში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება (მათ შორის საზოგადოებრივის), მასწავლებლად, მწვრთნელად, მსაჯად, ფუნქციონერად — არა ნაკლებ ხუთი წლისა;
— ტერიტორიულ ფეხბურთის ფედერაციაში ან მის სტრუქტურაში საზოგადოებრივი საქმიანობა (კომისიებში);
— უმაღლესი განათლება:
— რეგიონული ლიგის მატჩების ინსპექტირების გამოცდილება, ან მასთან მიახლოებულ (გათანაბრებულ, ლიგაში ინსპექტირება საინსპექტორო კომიტეტის გადაწყვეტილებით).
— არა ნაკლებ სამი წელი — სპეციალისტებისათვის, მასწავლებლებისათვის, მწვრთნელებისათვის, ფუნქციონერებისათვის, მსაჯებისათვის, ასისტენტებისათვის (ყველა დივიზიონი). არა ნაკლებ ორი წელი — მსაჯებისათვის, რომლებიც ემსახურებოდნენ უმაღლესი ლიგის მატჩებს, მათთან გატოლებულ შეჯიბრებებს სამი და მეტი სეზონის განმავლობაში;
— არა ნაკლებ ორი წელი — ფიფა-ს ასისტენტებისათვის, რომლებიც შედიოდნენ ფიფა-ს სიაში სამჯერ და მეტჯერ.
— არა ნაკლებ ერთი წლისა — ფიფა-ს მსაჯებისათვის, რომლებიც შედიოდნენ ფიფა-ს სიაში არა ნაკლებ სამჯერ.
— ასაკობრივი ცენზი 45-დან 70 წლის ჩათვლით.

**გამოცდები ჩატარდება: უმაღლესი ლიგისათვის — 27 აგვისტოს. I ლიგისათვის — 28 აგვისტოს (11 სთ.)**

დაწვრილებითი ცნობებისათვის დაუკავშირდით სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს. ტელ. 96-07-87.

# ქართულ-აფხაზური ტრადიციები ფეხბურთში...

ადრე აღვნიშნავდით, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, აფხაზეთი იყო ფეხბურთელთა სამჭედლო და დიდი ძალისხმევით გრძელდებოდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა მომზადება. აქედან გამომდინარე, აფხაზეთიდან ქართულ ფეხბურთში ყოველთვის მოდიოდა შევსება. უპირველეს ყოფლისა, ახალგაზრდა ტალანტები თამაშს იწყებდნენ ქართული ფეხბურთის ფლაგმანში, თბილისის „დინამოში“.

აფხაზეთის საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა თავიანთი თამაშით, ერთგულებით და თავდადებით სახელი გაითქვეს არა მარტო საქართველოს, არამედ, ევროპისა და მსოფლიო ფეხბურთში.

ასე იყო ადრე და ასე გრძელდებოდა გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრის შემდეგ. სწორედ იმ ხანებში გაგრის ფეხბურთმა გზა დაულოცა ვლადიმერ ბარქაიას და ისიც მოგვევლინა თბილისის „დინამოში“.

**ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას** დებიუტი თბილისის „დინამოში“ 1957 წელს



ბარქაია

შედგა. იმ სეზონში მან 10 თამაში ჩაატარა საბჭოთა კავშირის პირველობაზე და ერთი გოლი გაიტანა. მომდევნო, 1958 წელს მტკიცედ მოიკიდა ფეხი გუნდში და სეზონის ყველა მატჩში ითამაშა.

ვ. ბარქაიამ 1959 წელს 16 მატჩში 6 გოლი გაიტანა, 1960 წელს — 25 მატჩში 9 გოლი, 1963 წელს კი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა — საკავშირო პირველობაზე 14 გოლი გაიტანა.

1964 წ. ვ. ბარქაია „33 საუკეთესო“ ფეხბურთელთა სიაშია. 1965 წელს კი ისევ გუნდის საუკეთესო ბომბარდირია 9 გოლით.

ფეხბურთის თამაშს 1967 წელს დაანება თავი. საერთოდ, 1957-1967 წწ. საკავშირო პირველობაზე ჩატარებულ 227 მატჩში ვ. ბარქაიას ანგარიშზე 68 გოლია.

1965 წელს ვ. ბარქაია შეიყვანეს საბჭოთა ნაკრებში, სადაც 2 მატჩი ჩაატარა და 2 გოლიც გაიტანა. ორივეჯერ ბურთი მან მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირის დროს დანიის ნაკრების კარში მოათავსა.

ყოველთვის გვაოცებდა სიომას ერთი მთავარი და დასამახსოვრებელი თვისება, მით უფრო ძლიერად თამაშობდა, რაც უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს ხვდებოდა. განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა თამაში მოსკოვში, რისთვისაც ვ. ბარქაიას მეგობრებმა „სტალიჩნი“ შეარქვეს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ გავიხსენებთ 1960 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც საკავშირო თასის ფინალში თბილისელები მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოს“ ხვდებოდნენ. ყველაზე უკეთ სწორედ გამოჩნდა ვ. ბარქაიას გასაოცარი ტექნიკა, ბრწყინვალე დრიბლინგი, შესანიშნავი გასვლები, მახვილგონივრული გადაცემები, კომბინაციური თამაშის ალღო და ნიჭი. ამ მატჩში იყო მომენტი, როდესაც მან ძალზე რთულ მდგომარეობაში მიიღო მაღლივი ბურთი და აკენწლა. მისკენ გაექანა ტორპედოელი, მანოშინი, მაგრამ სიომამ მას თავს ზემოთ გადაუტარა ბურთი და ისევ აკენწლა. მანოშინი ეცადა ბურთის მარჯვენა მხრიდან წართმევას, მაგრამ სიომამ ახლა უკვე მარცხენა მხრიდან თავს ზემოთ გადაუტარა. ამის შემდეგ მანოშინმა ყოველგვარი სურვილი დაკარგა ჯიქურ ეთამაშა ვ. ბარქაიას წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ბარქაია 1966 წელს საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო, საბჭოთა ნაკრების იმჟამინდელმა უფროსმა მწვრთნელმა ნიკოლოზ მოროზოვმა ის და მიხეილ მესხი ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანა. მათ ნაცვლად ნაკრებში ჰუსეინოვი და პასქუიანი მოხვდნენ. აქ, რომ იტყვიან, კომენტარები მართლაც ზედმეტია.

ვ. ბარქაიას დიდი წვლილი მიუძღვის 1964 წლის საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ წარმატებაში, როცა ქართველმა ფეხბურთელებმა პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები.

ვ. ბარქაიას მრავალ საერთაშორისო მატჩებში მიუღია მონაწილეობა, უთამაშია ავსტრიის, გერმანიის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეციის, ბრაზილიის, დანიის, შოტლანდიის და სხვა ქვეყნების გუნდების წინააღმდეგ.

**გიორგი სიჭინავა** 16 წლის იყო, როდესაც 1960 წელს მისი დებიუტი თბილისის „დინამოში“ შედგა. მომდევნო, 1961 წელს სტაბილურად დამკვიდრდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში და საკავშირო ჩემპიონატის 26 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

1962 წელს 29 მატჩში 3 გოლი გაიტანა. შეყვანილი იყო „33 საუკეთესო“ ფეხბურთელის სიაში.

1963 წელს, ტრავმების გამო, მხოლოდ 9 მატჩში მონაწილეობდა, სამაგიეროდ მომდევნო 1964 წელს ჩემპიონატის ყველა 32 მატჩში ითამაშა და, რაც მთავარია, დიდი წვლილი შეიტანა იმავე წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში გამართულ გადამწყვეტ მატჩში, როდესაც თბილისელებმა დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო“ 4-1 და პირველად გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. იმავე წელს გ. სიჭინავა კვლავ „33 საუკეთესოთა“ სიაშია.

1966 წელს გიორგი სიჭინავამ სლავა მეტრეველთან და მურთაზ ხურცილავასთან ერთად საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მიიღო მონაწილეობა ინგლისში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც საბჭოთა ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა და მოთამაშეები ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ.

გ. სიჭინავა 1966 წლის სეზონის შედეგების მიხედვით კიდევ ერთხელ იყო დასახელებული „33 საუკეთესოთა“ სიაში.

აქვე დავძენთ, რომ 1966 წელს 18 ფეხბურთელს პირველებს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სპორტის საერთაშორისო კლასის ოსტატის წოდება. მათ შორის ქართველ ფეხბურთელთაგან იყვნენ მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გიორგი სიჭინავა. გ. სიჭინავა 1964-1966 წ.წ. საკავშირო ნაკრების წევრი იყო და მის შემადგენლობაში 8 მატჩი ითამაშა. 1969 წელს, როდესაც ჯერ მხოლოდ 25 წლისა იყო და ყველაფერი კიდევ წინ ჰქონდა, ბევრისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, შეწყვიტა ფეხბურთის თამაში.



გიორგი სიჭინავა

გ. სიჭინავა 1960-1969 წ.წ. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატების 163 მატჩში მონაწილეობდა, გაიტანა 8 გოლი.

გარდა ოქროს მედლისა, არის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1962 წ.). ჩატარებული აქვს საერთაშორისო მატჩები ინგლისის, შოტლანდიის, გერმანიის, დანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ირანის და სხვა ქვეყნების საკლუბო გუნდებთან...

**ალექსანდრე ილიადის** დებიუტი თბილისის „დინამოში“ 1965 წელს შედგა. იმ სეზონში მან საკავშირო პირველობის 21 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მოწინააღმდეგეთა კარში 3 გოლი შეაგდო. იმავე 1965 წელს ა. ილიადი მიწვეული იყო საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში.

1965-1971 წ.წ. საკავშირო ჩემპიონატების 121 მატჩში მიიღო მონაწილეობა და გაიტანა 10 გოლი.

1969 წელს საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

**გოჩა გავაშელის** დებიუტი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 1967 წლის სეზონის მეორე ნახევარში შედგა. იმ წელს მან საკავშირო ჩემპიონატის 11 მატჩში ითამაშა და 7 გოლი გაიტანა.

სწორედ 1967 წლის საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრეში გ. გავაშელის მონაწილეობით გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე სამახსოვრო მატჩი, როდესაც თბილისელებმა მიიღეს თავიანთი მოსკოველი თანაკლუბელები და დაამარცხეს გამანადგურებელი ანგარიშით 5-1. ალბათ, ბევრს ახსოვს თუ რა მოულოდნელი სიურპრიზი მოუმზადა მოსკოველებს თბილისის „დინამოს“ იმჟამინდელმა უფროსმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ სოლოვიოვმა. მან მურთაზ ხურცილავას მარჯვენა გარემარბის როლი დააკისრა. ამ მატჩში მ. ხურცილავამ ზუსტი გადაცემა გააკეთა და დებიუტანტმა გ. გავაშელმა პირველი გოლი გაიტანა მოსკოველთა კარში.

მომდევნო, 1968 წელს, მან მთელი სეზონის 36 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 22 გოლი გაიტანა. ტაშკენტის „პახტაკორის“ თავდამსხმელ ბ. აბდურაიმოვთან ერთად საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და გაზეთ „ტრუდის“ პრიზს დაეუფლა.



გოჩა გავაშელი

1971 წლის სეზონის დასაწყისშივე გავრილ კაჩალინმა ტრავმირებულ კახა ასათიანის ნაცვლად გოჩა გავაშელი თავდასხმიდან ნახევარდაცვაში გადაიყვანა, სადაც მან წარმატებით გააგრძელა თამაში.

გ. გავაშელმა თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში 1967-1973 წ.წ. 147 მატჩი ჩაატარა და 48 გოლი გაიტანა. სამჯერ (1969, 1971 და 1972 წ.წ.) იყო საკავშირო ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ხოლო 1970 წ. საკავშირო თასის გათამაშების ფინალური მატჩის მონაწილეა. გამოდიოდა საერთაშორისო მატჩებში შვეიცარიის, ირანის, კამბოჯის, სინგაპურის, ეგვიპტის, იტალიის, ბრაზილიის, თურქეთის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების გუნდების წინააღმდეგ.

**ვიტალი დარასელიას** დებიუტი თბილისის „დინამოში“ 1975 წლით თარიღდება. 1975-1982 წწ. საკავშირო ჩემპიონატების 192 მატჩში მონაწილეობდა და 26 ბურთი აქვს გატანილი. საკავშირო თასის გათამაშების 25 მატჩში — 4 გოლი.

ვ. დარასელია მრავალმხრივ გამორჩეული ფეხბურთელი იყო. მას ჰქონდა ჩინებული ტექნიკა, ცრუ მოძრაობები და დრიბლინგი, რაც ხელს უწყობდა მახვილგონივრული კომბინაციების ჩატარებაში. აგრეთვე გამოირჩეოდა ფიზიკური მონაცემებით. ვ. დარასელია ზედმიწევნით კარგად ერკვეოდა მოედანზე შექმნილ სიტუაციებში და მის შესაბამისად წარმართავდა თამაშს. მოედანზე ძალზე დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა.

1977 წელს მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა. იმავე წელს ირანში ჩატარდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ნაკრებთან ერთად მონაწილეობდნენ ბრაზილიის, არგენტინის, ინგლისის, უნგრეთის, ჰოლანდიის, პოლონეთის, ირანის და სხვა ქვეყნების გუნდები. ამ ტურნირში საბჭოთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ ვიტალი დარასელიას და რამაზ შენგელიას. საბჭოთა ნაკრების მიერ გატანილი 8 გოლიდან ორი ვიტალი დარასელიას, ხოლო ხუთი რამაზ შენგელიას ანგარიშზე მოდიოდა.

ვ. დარასელიამ 1976 წ. საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალამდე 3 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ხოლო შემდეგ მძიმე ტრავმის გამო მან თასისათვის ბრძოლაში ვერ შეძლო ბოლომდე ესპარეზა. ცნობილია, რომ სწორედ 1976 წელს თბილისის „დინამომ“ შეძლო პირველად მოეპოვებინა დიდი ხნის სანუკვარი თასი.

1978 წელს ის თავის მეგობრებთან ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო მომდევნო, 1979 წელს საკავშირო თასის მფლობელია.



ვიტალი დარასელია

ვიტალი დარასელიას ბენეფისი 1981 წლის 13 მაისს შედგა, როდესაც დიუსელდორფში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იენის „კარლ-ტაისი“ და თბილისის „დინამო“.

აქ არ შევუდგებით ამ ისტორიული მატჩის პერიპეტიების მთლიანად აღწერას, მაგრამ ერთ მომენტს ხაზი მაინც უნდა გავუსვათ. საქმე იმაშია, რომ თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა ანგარიში 1-1 იყო, დავით ყიფიანმა უზუსტესი და მახვილგონივრული პასით ბურთი გადააწოდა ვიტალი დარასელიას, რომელმაც მოთვინიერებული ბურთით მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი დრიბლინგით ურთულესი და ულამაზესი „სლალომი“ გააკეთა, გვერდი აუარა სამ გერმანელ ფეხბურთელს და მარცხენა ფეხით ულამაზესი ბურთი გაიტანა გერმანელთა კარში. ანგარიში გახდა 2-1 და თამაშიც მალე დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით.

ვ. დარასელიას მიერ გატანილი ბურთის წყალობით გახდა თბილისის „დინამო“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი. ეს იყო ქართული ფეხბურთის ტრიუმფი. ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვებამ ევროპული მასშტაბის ტურნირში დიდი სახელი და ავტორიტეტი მოუტანა არა მარტო ქართულ ფეხბურთს, არამედ, მთლიანად საქართველოს და მის ხალხს...

გავიდა ხანი, საბჭოთა კავშირის სრულ დაშლამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როდესაც 1990 წლის დასაწყისში ნოდარ ახალკაცის შორსმჭვრეტელობით, ინტუიციით და, რაც მთავარია, პირადი ინიციატივით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ მიიღო იმ დროისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების დამოუკიდებლად ჩატარების თაობაზე.

საქართველოში გადადგმულმა ამ ნაბიჯმა გააბოროტა საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი ფეხბურთის ფედერაცია და უშუალოდ მისი თავმჯდომარე ვიქტორ კოლოსკოვი (ამჟამად ვ. კოლოსკოვი ფიფას ვიცე-პრეზიდენტია — გ.ჩ.), რომლებმაც მიიღეს საპასუხო გადაწყვეტილება და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გარიცხეს საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის წევრობიდან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს გუნდებს ეკრძალებოდათ არა მარტო საბჭოთა, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნების გუნდებთან შეხვედრა. საკავშირო ფეხბურთის ფედერაციას მხარი დაუჭირა ფიფა-ს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა (ამჟამად ი. ბლატერი ფიფა-ს პრეზიდენტია — გ. ჩ.). მეტიც, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს მიმართ დაუშვა უხეში პოლიტიკური ჩარევა, დააკმაყოფილა რა სოხუმის „დინამოს“ თითქოსდა თხოვნა, მონაწილეობა მიიღო საკავშირო ჩემპიონატში პირველი ლიგის გუნდებს შორის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროტესტის პასუხად ვიქტორ კოლოსკოვმა განმარტა, რომ საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის წესდებით, ეს დასაშვები იყო. სოხუმის „დინამო“ მართლაც დაუშვეს პირველ ლიგაში სათამაშოდ, მაგრამ იმდენად სუსტი იყო, მეორე ლიგაში მოუხდა გადასვლა. მერე კი, საბჭოთა კავშირის, საერთოდ დაშლა. სოხუმის „დინამომ“ ჩვენს გარეშე ვერ შეძლო არსებობა და ის გაქრა საფეხბურთო ჰორიზონტიდან, ხოლო ფეხბურთი აფხაზეთში ჩაკვდა.

ამჟამად აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლებამ კვლავ დააყენა საკითხი რუსეთის ფეხბურთის კავშირის წინაშე, რომ აფხაზ ფეხბურთელებს ნება დართონ მონაწილეობა მიიღონ რუსეთის ჩემპიონატში, რუსეთის მხრიდან არავითარი პასუხი ჯერჯერობით არ არის.

ჩვენი აზრით, საჭირო და აუცილებელია ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული დაძაბულობის მოხსნისა და, საერთოდ, ურთიერთობების დარეგულირების საქმეში გამოვიყენოთ ე.წ. „სახალხო დიპლომატია“. აქედან გამომდინარე, აფხაზეთიდან გამოსულმა ფეხბურთელებმა — ვლადიმერ ბარქაიამ, გიორგი სიჭინავამ, ახრიპ ცვეიბამ, თემურ ქეცბაიამ და სხვებმა გამართონ მოლაპარაკება უშუალოდ აფხაზეთის ფეხბურთის მესვეურებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, დაარწმუნონ ისინი, რომ ფეხბურთი პოლიტიკისაგან შორს უნდა იყოს და აფხაზეთის გუნდებმა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ჩემპიონატში, რაც კარგი დასაწყისი და დიდი სტიმული იქნება საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის აღდგენის პროცესის დასაჩქარებლად.

**გურამ ჩხიკვაძე**

## საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა
## III ტურის სტატისტიკა

17 აგვისტო. ზესტაფონი ცენტრ. სტადიონი. 1.500 მაყურებელი
**მეტალურგი (ზესტაფონი) – სიონი (ბოლნისი) 2-1**
*მეტალურგი:* ა. ლაბაძე, მემარნიშვილი (დ. გურეშიძე 89), მაღლაკელიძე, კობაიძე, ორმოცაძე, სუხიაშვილი, გ. სულაკაძე, გაბრიჭიძე (ზ. ვაჩიბერიძე 51), ზვ. ენდელაძე (ა. ფოფხაძე 72), ი. ხაჭაპურიძე, შეყრილაძე.
*სიონი:* ვოლკოვი, სიდამონიძე, კვეკვესკირი, კაციაშვილი, გ. ჩხაიძე, გაბისკირია, შავგულიძე, დაუშვილი (გოგიტაძე 57), ისიანი, გიორგი ქორიძე (დ. გოდერძიშვილი 37), დათვაძე (კრავეიშვილი 76).
*გოლები:* 1-0 ხაჭაპურიძე (22), 1-1 დათვაძე (23), 2-1 ვაჩიბერაძე (76).
*გაფრთხილება:* ი. ხაჩაპურიძე (25), სუხიაშვილი (60), კობაიძე (88).
*მსაჯები:* პ. დოგრაშვილი, ა. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი).

17 აგვისტო. გორი, ცენტრალური სტადიონი. 800 მაყურებელი.
**დილა (გორი) – გორდა (რუსთავი) 1-0**
*დილა:* სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია (სულთანიშვილი 53), რ. ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე (ჯობაძე 61), გ. რევაზიშვილი, დავითნიძე, საყვარელიძე, ფეზუაშვილი, ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე, ლ. გოჩაშვილი (მ. ძოძუაშვილი 74).
*გორდა:* თ. ჩლაიძე, არსოშვილი, ბურნაძე, ლაშა სილაგაძე, ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე (ა. ლურსმანაშვილი 69), ალადაშვილი, ჩოხელი, გ. კილასონია, გოცირიძე (სოხაძე 89), თ. მეტრეველი (თ. მალანია 81).
*გოლი:* 1-0 ჯობაძე (89).
*გააფრთხილეს:* რ. ხაჩაპურიძე (10), ა. ხმალაძე (63), ჩლაიძე (84).
*მსაჯები:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში), მ. მაისურაძე (თბილისი).

18 აგვისტო. გურჯაანი. ცენტრ. სტადიონი. 3. 000 მაყურებელი.
**მილანი (წნორი) – დინამო (თბილისი) 0-1**
*მილანი:* მამალაძე, ტარუღაშვილი, ჯაბუა, მეტონიძე, ბარამიძე, მ. სამხარაძე, აკობია, ჭალიაშვილი, ქარჩავა, ვარამაშვილი (ვართაგავა 20), ქარდავა (გაბედავა 46).
*დინამო:* გვარამაძე, კარლოსი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე (კანდელაკი 46), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია (გ. მიქაძე 74), ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, ახალაია (ი. სამხარაძე 66).
*გოლი:* 0-1 ი. სამხარაძე (89)
*გააფრთხილეს:* ტარუღაშვილი (84).
*მსაჯები:* ა. მეშქვეი, [illegible]შვილი, ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი), [illegible] ორდინიძე (ონი).

18 აგვისტო. ბათუმი. ცენტრ. სტადიონი. 2000 მაყურებელი.
**დინამო (ბათუმი) – ტორპედო (ქუთაისი) 0-0**
*დინამო:* ტოგონიძე, ჩიჩუა, თურმანიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, კ. კობიძე, ხუჯაძე, რომანაძე, დარჩიძე, ტუღუში (ბეჟანიძე 88), ქაცარავა (კუნჭულია 90).
*ტორპედო:* სტურუა, მახვილაძე, ქემოკლიძე, ხვადაგიანი, დიდავა (ლ. ჭელიძე 61), ი. კვეტენაძე, თოდუა, დ. ჯანაშია, ზირაქიშვილი (ახალკაცი 70), იონანიძე, პოროშინი (ჩხეტიანი 79).
*გააფრთხილეს:* რომანაძე (88);
*მსაჯები:* ა. შილაკაძე, ი. შალამბერიძე, კ. თბილელი (ყველა თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა).

17 აგვისტო. თბილისი. „სინათლის“ სტადიონი. 500 მაყურებელი.
**მერანი (თბილისი) – ვიტ ჯორჯია (თბილისი) 0-2**
*მერანი:* ნაჭყებია, გუჯაბიძე, გ. ხიზანიშვილი (ილურიძე 57), დევიძე, მესხი, ბაჯელიძე, კოშკაძე (ქადაგიძე 77), თუთარაშვილი (ბ. ნოზაძე 46), ფირცხალაიშვილი, ი. შენგელია, ჭინჭარაული.
*ვიტ ჯორჯია:* მერლანი, თ. კობიაშვილი, მუჯირი, ბოლქვაძე, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე, (ლ. მერებაშვილი 46), გოჩაშვილი (თედორაძე 46), ე. მერებაშვილი (ინწკირველი 75), ადამია, მელქაძე.
*გოლები:* 0-1, 0-2 მელქაძე (4,83)
*გააფრთხილეს:* ფირცხალაიშვილი
*მსაჯი:* კ. მესხი (ზუგდიდი)
***19 აგვისტო***
კოლხეთი 1913 — ლოკომოტივი (გადაიდო)



ჟ. მალხაზიშვილის ფოტო

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| კოლხეთი1913 | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| გორდა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| დინამო (ბთ) | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| მერანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| მილანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## გიორგი დემეტრაძე: „სპარტაკთან“ მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა

**რუსეთის პრემიერ-ლიგის მორიგ ტურში დიდ ყურადღებას იპყრობდა მატჩი მოსკოვში, სადაც ადგილობრივი „სპარტაკი“ მასპინძლობდა ვლადიკავკაზის „ალანიას“.**

**თამაში მასპინძლებმა მოიგეს 2-1, თუმცა უნდა ითქვას, რომ სტუმრები ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მით უმეტეს, რომ ისინი გიორგი დემეტრაძის ბრწყინვალე გოლით დაწინაურდნენ. რა იყო „ალანიას“ დამარცხების მიზეზი? დემეტრაძეს მოვუსმინოთ:**




— პირველი ტაიმი 1-0 მოვიგეთ შესვენების შემდეგ. ძირითადად ყურადღება დაცვაზე გავამახვილეთ. სამწუხაროდ, რამდენჯერმე შევცდით და საკუთარ კარში ორი ბურთიი მივიღეთ.

• ***თქვენს მიერ „სპარტაკის“ კარში გატანილი გოლი დიდებული იყო...***

— მართალია. თეთრაძემ გრძელი პასი მომცა, მე გვერდი ავუარე მოიზეს და ძლიერად დავარტყი მეკარისთვის შორეულ კუთხეში.

• ***შეეძლო თუ არა „ალანიას“ მოგება?***

— ამ მატჩის ალოგიკური შედეგი, ჩემი აზრით, ფრე უნდა ყოფილიყო. გუნდის რამდენიმე მოთამაშე ჩვეულ ფორმაში არ იყო და ცხადია, თამაშში ესეც შეინიშნებოდა.

## რონალდო „ინტერში“ რჩება

უშედეგოდ დასრულდა მოლაპარაკება მილანის „ინტერისა“ და მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელებს შორის, რომლებიც გასულ უქმეებზე რონალდოს ესპანურ კლუბში გადასვლის ვარიანტს იხილავდნენ.




**„რონალდო 80 პროცენტით გუნდში დარჩება. ის ამით კმაყოფილიც უნდა იყოს“ , — განაცხადა „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.**

**თვით ფეხბურთელი ბრაზილიაში იმყოფება, სადაც ქვეყნის ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს პარაგვაის ნაკრებთან ამხანაგურად შესახვედრად.**

## ბურიაკმა შემადგენლობა დაასახელა




**ხვალ, უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს ეთამაშება ირანის ნაკრებს. უკრაინელთა მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა ამ შეხვედრისათვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:**

*მეკარეები:* ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიტალი რევა (ორივე — კიევის „დინამო“), დმიტრი შუტკოვი („შახტარი“).
*მცველები:* მიხაილ სტაროსტიაკი, სერგეი პოპოვი, ანატოლი ტიმოშჩუკი (ყველა — „შახტარი“), იური დმიტრულინი, ანდრეი ნესმაჩნი (ყველა — „დინამო“), ვლადიმირ იაკრმაცკი („მეტალურგი“), სერგეი სნიტკო („ჩერნომორეცი“, რუსეთი), ვიქტორ სკრიპნიკი („ვერდერი“ — გერმანია).
*ნახევარმცველები:* ალექსეი ბახარევი, გენადი ზუბოვი, ოლეგ პესტრიაკოვი (ყველა — „შახტარი“, ანდრეი გუსინი („დინამო“), ალექსეი ივანოვი („არსენალი“), იაროსლავ ხომა („კარპატი“), ვლადიმირ მუსოლტინი („კრივბასი“), სერგეი კორმილცევი („ტორპედო“, რუსეთი), მაქსიმ კალნიჩენკო („სპარტაკი“, რუსეთი), ევგენი ლუცენკო („ლივორნო“, იტალია), სერგეი სერებრენიკოვი („ბრუგე“, ბელგია).
*თავდამსხმელები:* ანდრეი ვორობეი („შახტარი“), ალექსანდრ მელაშჩენკო („დინამო“), ტარას კაბანოვი („კარპატი“), ანდრეი ვორონინი („მაინცი“, გერმანია), ანდრეი შევჩენკო („მილანი“, იტალია), სერგეი რებროვი („ტოტენჰემი“, ინგლისი).

## ბაჯოს ბურთი წაართვეს



„სამწუხარო“ შედეგით დასრულდა იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავის რობერტო ბაჯოს (სურათზე) გასეირნება ერთ-ერთ პლაჟზე, სადაც მან მოინდომა დამსვენებელთათვის ეჩვენებინა საკუთარი ტექნიკა და ბურთით ჟონგლირება დაიწყო. ამ დროს მასთან მივიდნენ პლაჟის დაცვის თანამშრომლები და ბაჯოს ბურთი წაართვეს, რადგან ადგილობრივი წესებით პლაჟზე ბურთით თამაში არ შეიძლება.

„წაართვა ბურთი ბაჯოს, — ეს იგივეა, რაც პიკასოსთვის ფუნჯი წაერთმიათ“ — წერს „ლა გაზეტა დელო სპორტი“.

## აზია მსოფლიო ჩემპიონატის საგზურების მომატებას ითხოვს

**აზიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტი მოჰამედ ბინ ჰამანი თვლის, რომ აწ უკვე წარსულს ჩაბარებულ კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე აზიურმა გუნდებმა მიაღწიეს ისეთ თვალსაჩინო შედეგებს, რომ აუცილებელია, მომავალ, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე აზიას კიდევ უფრო მეტი — 5 ადგილი მიეცეს.**

**„ჩვენ გვსურს, რომ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე 5 აზიური ნაკრები ვიხილოთ. ჩვენმა წარმომადგენლებმა ხომ დიდებულ შედეგს მიაღწიეს მსოფლიოს წლევანდელ პირველობაში“... — განაცხადა ჰამანმა.**

**შეგახსენებთ, რომ კორეასა და იაპონიის მსოფლიო პირველობაზე აზიას ოთხი გუნდი წარმოადგენდა, — ჩინეთი. საუდის არაბეთი და მასპინძელ ქვეყნების გუნდები.**

**იაპონელები მერვედფინალში გავიდნენ, ხოლო კორეელებმა ნახევარფინალამდე მიაღწიეს.**

## ჩილავერტი ნაკრებში არ გამოიძახეს...




**ლეგენდარული პარაგვაელი გოლკიპერი ხოსე ლუის ჩილავერტი თავისი ქვეყნის ნაკრებში არ გამოიძახეს ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ. პარაგვაელთა გუნდის შემადგენლობაში ასევე არ ითამაშებენ კარლოს გამარა, ფრანსისკო არსე და როკე სანტა კრუსი.**

**პარაგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ჯერჯერობით, ურუგვაელი სპეციალისტი ანიბალ რუისი ასრულებს. მანამდე ამ გუნდს თავკაცობდა ჩეზარე მალდინი, რომლის თავკაცობითაც პარაგვაელები მსოფლიო ბოლო ჩემპიონატის მერვედფინალამდე გავიდნენ, სადაც გერმანელებთან 0-1 დამარცხდნენ. სხვათა შორის, ხვალინდელი ამხანაგური მატჩის შემდეგ ვაკანტური ხდება ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი: ლუის ფელიპე სკოლარიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ პარაგვაის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ დატოვებს თანამდებობას.**

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური

*ჰერტა-შტუტგარტი 1-1 (0-1)*
*ბაიერნი — არმინია 6-2 (3-0)*
*ჰანოვერი — მიუნხენი 1-3 (1-2)*
*ჰანზა — ნიურნბერგი 2-0 (1-0)*
*ბოხუმი — კოტბუსი 5-0 (3-0)*
*ლევერკუზ. — დორტმ. 1-1 (1-0)*
*კაიზერი — შალკე 1-3 (1-0)*
*ვოლფსბურგი — გლადბახი 1-0 (0-0)*
*ვერდერი — ჰამბურგი 2-1 (1-1)*




| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| ჰანზა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| შალკე | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| მიუნხენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ვოლფსბურ. | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| არმინია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| დორტმუნ. | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| ჰერტა | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| ლევერკუზ. | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| შტუტგარტი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| გლადბახი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| კაიზერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| ჰანოვერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| ნიურნბერგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### ჰოლანდია. I დივიზ. I ტური

*როზენდალი — ცვოლე 1-1 (1-0)*
*ექსელ-სიორი — პსვ 0-2 (0-2)*
*ბრედა — როდა 2-2 (1-0)*
*ტვენტე — ტილბურგი 0-2 (0-0)*
*ალკმაარი — ჰერენვენი 3-3 (1-2)*
*აიაქსი — უტრეხტი 3-1 (1-1)*
*ფეიენოორდი — ნაიმეგენი 2-0 (0-0)*
*გრონინგენი — ვიტესი 1-2 (1-1)*
*ვალვაიკი — გრააფსხაპი 4-2 (1-0)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალვაიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| აიაქსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ტილბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| პსვ | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ფეიენოორ. | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ვიტესი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ალკმაარი | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| ბრედა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| როდა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| როზენდალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ცვოლე | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| გრონინგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| გრააფსხაპი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |
| უტრეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| ტვენტე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ექსელსიორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ნაიმეგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### შოტლანდია. პრემიერ. I ტური

*სელტიკი — დანდი იუნ. 5-0 (3-0)*
*დანფერმლაინი — დანდი 4-2 (1-1)*
*კილმარნოკი — მოზერ. 0-3 (0-0)*
*პარტიკი — ლივინგსტონი 2-2 (1-1)*
*აბერდინი — ჰართსი 1-1 (0-0)*
*ჰიბერნიანი — რეინჯერსი 2-4 (1-2)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| დანფერმლ. | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| ჰართსი | 3 | 1 | 2 | 0 | 7-3 | 5 |
| მოზერველი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| ლივინგსტონ | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| კილმარნოკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| აბერდინი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| პარტიკი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| დანდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| დანდი იუნ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| ჰიბერნიანი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-11 | 0 |




### რუსეთი. XX ტური

*სპარტაკი — ალანია 2-1 (0-1)*
*როსტსელმაში — კრილია 0-3 (0-0)*
*ანჟი — ტორპედო 0-1 (0-0))*
*როტორი — ცსკა 0-1 (0-1)*
*სატურნი — ურალანი 5-2 (3-1)*
*ზილი — სოკოლი 2-0 (1-0)*
*შინიკი — ლოკომოტივი 0-0 (0-0)*




## ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია დანიელ პასარელას დაპატიმრებას ითხოვს

სკანდალი

**ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა მეზობელი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, დააპატიმრონ ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, წარსულში არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავი დანიელ პასარელა, რომელმაც 1978 წელს არგენტინის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

როგორც ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, მათ წინასწარ გადაუხადეს ჰონორარი პასარელას, ამ უკანასკნელმა კი, თვითნებურად დაარღვია კონტრაქტი და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე მიატოვა გუნდი (კორეა-იაპონიაში ურუგვაის ნაკრებს ვიქტორ პუა ხელმძღვანელობდა). ახლა ფედერაცია პასარელასაგან 837 ათასი დოლარის დაბრუნებას ან არგენტინელის სახლისა და იახტის გადაცემას ითხოვს.


*1978 წ. — პასარელას ბედნიერება... 2002 წ. — ციხე?*

„ჩვენ მოვუგეთ სასამართლო პროცესი „კაიზერს“ (ასე ეძახიან დანიელ პასარელას) და ყველანაირი მეთოდით შევეცდებით ზარალის ანაზღაურებას“ — განაცხადა ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ეუხენიო ფიგეროდომ.

თვით პასარელას განცხადებით, მან სამუშაო მიატოვა იმიტომ, რომ ზოგიერთი გუნდი არ უშვებდა ნაკრებში ფეხბურთელებს, თუმცა სხვები იმასაც ამბობენ, რომ პასარელამ კარგად იცოდა ურუგვაის ნაკრების თამაშის დაბალი დონე ამ მსოფლიო ჩემპიონატისათვის და ისიც იცოდა, რომ გუნდთან ერთად კორეა-იაპონიაში ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევდა (ურუგვაის ნაკრები მართლაც შეჯიბრების პირველი ეტაპის შემდეგ გაემგზავრა შინ).

# ბულამმა კენიური ტრადიცია დაარღვია

მძლეოსანთათვის „ოქროს ლიგა" წლის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს წარმოადგენს და, ცხადია, ყოველ ეტაპზე დიდი მონდომებით იბრძვიან.

„ოქროს ლიგის" წლევანდელ მეხუთე ეტაპზე, რომელიც ციურიხში ჩატარდა, ბევრი საინტერესო რამ მოხდა.

ცნობილია, რომ 3000 მეტრზე რბენა კენიელთა „სახეობად" ითვლება, რადგან ამ დისტანციაზე, ტრადიციისამებრ, კენიის წარმომადგენლები იმარჯვებენ ხოლმე.

შარშან ტრადიცია მაროკოელმა ბრაჰიმ ბულამმა დაარღვია, წლეულს კი კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა კენიურ იმიჯს. მაროკოელი ახლაც უძლიერესი იყო, 3000 მეტრი რეკორდულ დროში — 7 წუთსა და 53.17 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გავიდა ჩერონო — 8.05,14. მესამეზე — კოეჩი (ორივე — კენია) — 8.05,44.



***გავაცნობთ „ოქროს ლიგის" ტექნიკურ შედეგებს:***

***ქალები. 100 მ:*** 1. ჯონსი — 10,88. 2. ჰეინე (ორივე — აშშ) — 10.95. 3. ლოურენსი (იამაიკა) — 11.10; ***1500 მ:*** 1. საბო (რუმინეთი) — 3.58,78. 2. ფეივორ-ჰემილტონი (აშშ) — 3.59,10. 3. ტუროვა (ბელარუსი) — 3.59,89; ***3000 მ:*** 1. ადერე (ეთიოპია) — 8.32,76. 2. ტომაშოვა (რუსეთი) — 8.33,40. 3. ო'სალივანი (ირლანდია) — 8.33,62; ***ვაჟები. 100 მ:*** 1. მონტჰომერი — 9,98. 2. მილერი (აშშ) — 10.00. 3. ჩემბერსი (დიდი ბრიტანეთი) — 10.05; 1500 მ: 1. ელ-გურუჟი (მაროკო) — 3.26,89. 2. კორნელიუს ჩირჩირი (კენია) — 3.30,88. 3. სილვა (პორტუგალია) — 3.31,22; ***სიმაღლეზე ხტომა:*** 1. ჰოლმი (შვედეთი) — 2,35 მეტრი. 2. ბოზუელი (კანადა) — 2,33. 3. რიბაკოვი (რუსეთი) — 2.31. ***სამხტომი:*** 1. ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) — 17,63. 2. მარტინესი (კუბა) — 17,19. 3. ოლსონი (შვედეთი) — 17.18.

## მუჰამედ ალის ქალიშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა

**სახელოვანი მოკრივის მუჰამედ ალის ტრადიციებს მისი ქალიშვილი — ლეილა აგრძელებს. 24 წლის ლეილა ალიმ ლას ვეგასში გამართულ ორთაბრძოლაში ნოკდაუნში გაგზავნა სიუზენ ტეილორი და იბა-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

**საინტერესოა, რომ ლეილამ დღემდე 12 ბრძოლა ჩაატარა პროფესიულ რინგზე და ჯერ არ დამარცხებულა.**



ლეილა ალი

## შუმახერმა უნგრეთის „გრან-პრი" ბარიკელოს „მოაგებინა"



შუმახერი (მარცხნივ) და ბარიკელო

AP

მას შემდეგ, რაც „ფორმულა-1"-ის პილოტმა მიხაელ შუმახერმა „ფერარით" მეხუთედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, სიტყვა დადო, რომ მის თანაგუნდელს რუბენს ბარიკელოს ყველანაირად შეუწყობს ხელს, რათა წლიური შედეგების მიხედვით მეორე ადგილი დაიკავოს. გუშინ, ბუდაპეშტში გამართულ „უნგრეთის გრან-პრიზე" შუმახერმა თავისი სიტყვა შეასრულა: „მწვანე შუქი" აუნთო ბარიკელოს და ხელი არ შეუშალა გამარჯვების მოპოვებაში. ეს ბარიკელოს რიგით მეორე გამარჯვებაა წლევანდელ სეზონში. მან 77 წრისგან შემდგარი 306 კილომეტრიანი დისტანცია 1 საათში, 41 წუთსა და 49,001 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გავიდა მიხაელ შუმახერი — 1:41.49,435, მესამეზე — რალფ შუმახერი („უილიამსი") — 1:42.02,357.

## რუსმა ფრენბურთელებმა მსოფლიო ლიგა მოიგეს

**ბრაზილიაში დასრულდა მსოფლიო ლიგის გათამაშება ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. ამ პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებული გახდა რუსეთის ნაკრები, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებს სძლია. პირველი სეტი რუსებმა 25:21 მოიგეს. მეორეში ერთხანს მასპინძლები აქტიურობდნენ, მაგრამ მაინც სტუმრებმა იმძლავრეს — 25:22. ამის შემდეგ ბრაზილიელმა ფრენბურთელებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და მესამე სეტი 25:22 მოიგეს, თუმცა მეოთხეში ჩვენმა მეზობლებმა წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს სამხრეთამერიკელებს (25:17). სხვათა შორის, მსოფლიო ლიგაში ასეთ წარმატებას პირველად მიაღწიეს რუსებმა.**



**ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად სცნეს პაველ აბრამოვი, საუკეთესო ბომბარდირად — იუგოსლაველი ივან მილკოვიჩი.**

## ანანდმა მსოფლიო ჩემპიონს მოუგო

ინდოელმა მოჭადრაკემ ვიშვანათან ანანდმა სწრაფ ჭადრაკში გამართულ მატჩში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი ანგარიშით 4,5:3,5. არადა, 7 პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო. მერვეში კი პონომარიოვმა უხეში შეცდომა დაუშვა, რაც წაგების ფასი იყო.

## შაკილ ო'ნილი დაიკარგა

**ნბა-ს ვარსკვლავი შაკილ ო'ნილი, ყველასათვის მოულოდნელად არ გამოცხადდა მისი სახელობის ახალგაზრდულ საკალათბურთო ბანაკში, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო საჩვენებელ მატჩში. დარბაზში მყოფი უამრავი მაყურებელი, რომლებმაც თითო ბილეთში 250 დოლარი გადაიხადა, ამაოდ ელოდნენ სახელგანთქმულ კალათბურთელს. საინტერესოა, რომ ღონისძიების ორგანიზატორებმა ვერ დაადგინეს ო'ნილის ადგილსამყოფელი და ვერც მის აგენტს დაუკავშირდნენ.**

## რუსედსკიმ ინდიანაპოლისის ტურნირი მოიგო

გრეგ რუსედსკის გამარჯვებით დასრულდა ინდიანაპოლისის საჩოგბურთო ტურნირი. ფინალში რუსედსკიმ 6:7, 6:4, 6:4 სძლია ესპანეთის წარმომადგენელ ფელიქს მანტილიას და მთავარ პრიზს დაეუფლა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 აგვისტო, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ განმეორება: სენეგალი – თურქეთი (15.15), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* „მსოფლიო რაგბი" (14.00), ევროპის სტადიონებზე (20.00), *РТР.* ფეხბურთი. მ/ჩ განმეორება: გერმანია – კორეა. 1/2 ფინალი (2.25), *НТВ плюс футбол.* ინგლისის ჩემპიონატი (13.15), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.30), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (16.30, 19.35), გავიხსენოთ განვლილი სეზონი. იტალიის ჩემპიონატი (21.20), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.15), გავიხსენოთ განვლილი სეზონი. „ლიბერტადორესის თასი" (0.15), *НТВ плюс спорт.* ფარიკაობა. მ/ჩ. ხმალი. ქალები. რაპირა ვაჟები (14.55), რაპირა, ქალები. დაშნა, ვაჟები (23.00), ფრენბურთი. ტურნირი გრან-პრის სერიიდან (0.20). *EUROSPORT.* მძლეოსნობა. ტურნირი გრან-პრის სერიიდან (11.30, 18.30). ფარიკაობა, მსოფლიო ჩეპიონატი (15.30, 21.00).

**21 აგვისტო, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი: მ/ჩ განმეორება. ბრაზილია – თურქეთი (15.15), საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. თურქეთი – საქართველო (22.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45), *НТВ плюс футбол.* განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15, 19.35), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (14.55), გავიხსენოთ განვლილი სეზონი: „ლიბერტადორესის თასი" (15.50, 23.30), ესპანეთის ჩემპიონატი (21.20), იტალიის ჩემპიონატი (21.20), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.15). *НТВ плюс спорт.* ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. რაპირა, ქალები. დაშნა, ვაჟები. ფინალები (13.15), დაშნა, ქალები. ხმალი, ვაჟები. გუნდური ფინალები (22.45). *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროგოლები (11.30, 16.45), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.45), მძლეოსნობა. გრან-პრის სერიის ტურნირი (14.45), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი – 2000 წ. (19.45), ცხენოსნური სპორტი. სამსუნგის ეროვნებათა თასი (1.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია. ამხანაგური მატჩი (2.15).

**22. აგვისტო, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ განმეორებით, გერმანია – კორეა (15.15), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). *РТР.* ფეხბურთი. მ/ჩ 2002 წ. განმეორებით. კორეა – თურქეთი. მატჩი მე-3 ადგილისათვის (2.30). *НТВ плюс футбол.* განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15), გავიხსენოთ განვლილი სეზონი: იტალიის ჩემპიონატი (15.20, 19.25), „ლიბერტადორესის თასი" (17.10, 23.45), ესპანეთის ჩემპიონატი (21.10), „ფუტბოლ მუნდიალი" (23.15). ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.25). *НТВ плюс спорт.* ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი: დაშნა. ქალები. ხმალი, ვაჟები. გუნდური ფინალები (14.00), ხმალი, ქალები. რაპირა, ვაჟები (22.45). *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია. ამხანაგური მატჩი (11.30, 16.00, 17.00, 18.00, 19.00), საცხენოსნო სპორტი. სამსუნგის ეროვნებათა თასი (13.30). ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი (23.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.15).

## რეიტინგები... რეიტინგები...

**გამოქვეყნდა ვტა-სა და ატპ-ს მორიგი რეიტინგები. გთავაზობთ მსოფლიოს ჩოგბურთელთა საუკეთესო ათეულებს:**

ვტა-ს რეიტინგი:
1. სერენა უილიამსი (აშშ) – 5322
2. ვინუს უილიამსი (აშშ) – 5178
3. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) – 4079
4. ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) – 3338
5. მონიკა სელეში (აშშ) – 3141
6. კიმ კლიისტერსი (ბელგია) – 3025
7. ჟიუსტინ ენინი (ბელგია) – 3004
8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 2659
9. ამელი მორესმო (საფრანგეთი) – 2622
10. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 2450

ატპ-ს რეიტინგი:
1. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) – 5205
2. მარატ საფინი (რუსეთი) – 3130
3. ტომი ჰაასი (გერმანია) – 3030
4. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 2525
5. ტიმ ჰენმენი (დიდი ბრიტანეთი) – 2455
6. ანდრე აგასი (აშშ) – 2425
7. ხუან კარლოს ფერერი (ესპანეთი) – 2300
8. ალბერტ კოსტა (ესპანეთი) – 2245
9. კარლოს მოია (ესპანეთი) – 2050
10. სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) – 2045.

## მორესმომ კაპრიატის აჯობა

**სენსაციური შედეგით დასრულდა საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი მონრეალში. ფინალურ მატჩში ამელი მორესმომ ორ პარტიაში დაამარცხა მსოფლიოს მესამე ჩოგანი ჯენიფერ კაპრიატი — 6:4, 6:1.**



მორესმო

## კროსვორდი № 64



თარაზულად: 1. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 3. ქართულ ტანმოვარჯიშეთა ძველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, 5. კორეის ნაკრების ფეხბურთელი, 6. ტანვარჯიშული იარაღი, 7. გამარჯვების ქალღმერთი, 10. ის, რაც სპორტის სათამაშო სახეობებში კარზეა დამაგრებული, 11. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 14. ვეტერანი ხელბურთელი, ამჟამად ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, 15. საყაიმო შედეგი, 16. მშვილდით სასროლი, 17. ცნობილი რუსი საფეხბურთო მიმომხილველი, 19. ცნობილი რუსი ჩოგბურთელი, 20. ერთგვარი სისტემა ჭადრაკში, 21. იალქანი ანუ....

შვეულად: 2. წარსულში ცნობილი ბასკი ფეხბურთელი, უთამაშია თბილისში, 3. ქართველი მსახიობი და მკლავჭიდელი, 4. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 8. ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 9. ბრემენის საფეხბურთო კლუბი, 12. ერთ-ერთი პრიზი, რომელიც 70-იან წლებში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა მოიპოვეს ოთხთა ტურნირში, 13. ზამთრის სპორტის სახეობის ინვენტარი, 16. ნბა-ს ერთ-ერთი კლუბი, 17. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 18. მექსიკის ნაკრების ფეხბურთელი.

### კროსვორდი №63. პასუხები

თარაზულად: 1. კარატე, 5. იპონი, 7. გურგენიძე, 8. აზია, 9. მური, 11. ვიალი, 12. ნოზაძე, 16. ბარკლი, 18. „სპარტა", 19. ნურმი, 20. ლიტმანენი, 21. კულა.
შვეულად: 1. კიკნაძე, 2. რაგბი, 3. ტირი, 4. ლენდლი, 5. იაძე, 6. ნიჟარაძე, 10. ლოტკინი, 13. „ნაპოლი", 14. ხანტეი, 15. სტამი, 17. შაიბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლc8! 1. ...მფf4 2. ლg4X.
1. ...მფd5 2. ლc6X.
1. ...მფd3 2. ლc2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაძე